ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4312579

ნომერი: AR1650421

თარიღი : 15.12.2018

გაცემის თარიღი : 21.12.2018

გაცნობის თარიღი : 21.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ დვალი პ/ნ 01008000711
- ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე პრიმა მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვის გამოცხადებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ბათილია ყადაღადადებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა გარიგება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ხელშეკრულების საფუძველზე განმცხადებლის უფლებამოსილება არ დგინდება.

ამასთან ხელშეკრულებაში მითითებული ვადა გასულია და არ დგინდება კონკრეტულად როდის არის უფლებამოსილი შპს „ახალი მზერა“ განათავსოს აბრა. ასევე, ხელშეკრულებაზე დარტყმულია ამხანაგობა „ბაგები 502-ის“ ბეჭედი. წერილობითი დასტურის გაცემისათვის საჭიროა სამსახურს მომართოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ: წარმოდგენილი იქნას ეროვნული საქმიანობის ამხანაგობა „ბაგები-504-ის“ სრული სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და სამსახურს მომართოს მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა (თავმჯდომარე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად), ასევე, საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისად ამხანაგობის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული თანხმობა.

- ასევე, არ არის მისაღები წარმოდგენილი ოქმი, ვინაიდან მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ბაგები-504" და არა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.

- საჭიროა წარმოდგენილ იქნას დღევანდელი მდგომარეობით არსებული სიტუაციის სხვადასხვა ხედის ფიქსაციით, ახლო და შორი მანძილიდან გადაღებული ფოტოსურათები.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.